



გეოგაპის სტანდარტის მოთხოვნები მერძეული ფერმისთვის



ინფორმაცია მეწარმის შესახებ (კომპანიის დასახელება ან მფლობელის სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო ან პირადი ნომერი):

პასუხისმგებელი პირი: _____

(დატოვეთ ცარიელი, თუ იგივეა, ვინც მფლობელი)

ფერმერული მეურნეობის ფაქტიური მისამართი: _____

თარიღი:

აუდიტორი: _____






გეოგაპის სტანდარტის მოთხოვნები მერძეული ფერმისთვის



გეოგაპი მესაქონლე ფერმერთათვის მოთხოვნების სიაში შემავალი მოთხოვნები სტატუსის მიხედვით იყოფა შემდეგნაირად: **სავალდებულო, სასურველი და რეკომენდაცია**. სავალდებულო არის კრიტერიუმები რომლის შესრულება სრულადაა საჭირო სერტიფიცირებისთვის, სასურველი არის კრიტერიუმები, რომლის შესრულება არ არის აუცილებელი პირველ წელს, თუმცა ნებისმიერი მომდევნო სერტიფიცირების პერიოდისთვის სრულად უნდა იყოს შესრულებული, ხოლო რეკომენდაცია არც პირველი და არც შემდგომი სერტიფიცირებისას არაა შესასრულებელი და მას საინფორმაციო-სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.

პირობითი აღნიშვნები:

-  - ვიზუალურად უნდა შეფასდეს არსებული მდგომარეობა მოთხოვნის შესაბამისობისობასთან მიმართებაში.
-  - დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს არსებული მდგომარეობა მოთხოვნის შესაბამისობისობასთან მიმართებაში.
-  - პერსონალი უნდა გამოიკითხოს არსებული მდგომარეობა მოთხოვნის შესაბამისობისობასთან მიმართებაში.

თითოეული მოთხოვნის შესაბამისობის შეფასების დროს, სავალდებულოდ შევსებული უნდა იქნას დასაბუთების გრაფა განმარტებითი კომენტარებით.



LAND O' LAKES
VENTURE 37

გეოგაპის სტანდარტის მოთხოვნები მერძეული ფერმისთვის



ფერმერული მეურნეობა						
N 1	მოთხოვნა	აღწერა	სტატუსი	შესაბამისობა		დასაბუთება
				კი	არა	
1.1 	არის თუ არა ფერმა რეგისტრირებული ბიზნესოპერატორად?	დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს ფერმერის სურსათის ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.	სავალდებულო			
1.2 	არსებობს თუ არა ფერმერული მეურნეობის რუკა, რომელიც მოიცავს ყველა ნაკვეთს, შენობა-ნაგებობას და ყველა სტრატეგიულ ობიექტს?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს ფერმაში არსებული რუკა, რომელიც უნდა მოიცავდეს ყველა ნაკვეთს, შენობა-ნაგებობას, შესასვლელ-გასასვლელს და ა.შ. ფერმაში განთავსებული უნდა იყოს რუკის შესაბამისი აღნიშვნები.	სავალდებულო			
1.3 	არის თუ არა ფერმის ტერიტორია სუფთა მდგომარეობაში?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს ფერმის ტერიტორია დაბინძურებასა და ნაგვის ურნის არსებობაზე. დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს ორგანული და არაორგანული ნარჩენების და ყველა სახის დამაბინძურებლის მართვის გეგმა.	სავალდებულო			
1.4 	იდენტიფიცირებულია თუ არა ფერმაში სახიფათო ადგილები და განთავსებულია თუ არა პირველადი დახმარების კომპლექტი?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს ფერმაში სახიფათო ადგილებზე (საქვაბე, ღუმელი, ელექტრო კარადა, ქიმიკატების სათავსო, ა.შ.) სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნების არსებობა. ასევე უნდა შეფასდეს პირველადი დახმარების კომპლექტის განთავსება ადვილად შესამჩნევ ადგილას, შესაბამისი აღნიშვნით. პერსონალი უნდა გამოიკითხოს ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების მართვის არსებული პრაქტიკის შესახებ.	სავალდებულო			
1.5 	შექმნილია თუ არა პერსონალისთვის ღირსეული სამუშაო პირობები?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს არის თუ არა ფერმაში ხელმისაწვდომი სასმელი წყალი, ტუალეტები (შესაბამისი პირობებით) და ხელსაბანები, ასევე სუფთა ადგილი ტანსაცმლის გამოსაცვლელად, საჭმლის შესანახად და საჭმელად. დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს შეესაბამება თუ არა ლაბორატორიული კვლევის	სავალდებულო			



LAND O' LAKES
VENTURE 37

გეოგაპის სტანდარტის მოთხოვნები მერძეული ფერმისთვის





		შედეგად პერსონალისთვის განკუთვნილი სასმელი წყალი არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.				
1.6 	ხორციელდება თუ არა ფერმაში მავნებლების მართვა?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს არსებობს თუ არა ფერმაში მავნებლების მართვის პროგრამა. დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს მავნებლების მართვის პროგრამის ჩანაწერები.	სავალდებულო			
1.7 	ინახება თუ არა გარე აუდიტის დროს მოთხოვნილი დოკუმენტები მინიმუმ 2 წლის განმავლობაში?	დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს გარე აუდიტის დროს მინიმუმ 2 წლის განმავლობაში მოთხოვნილი ჩანაწერების არსებობა (დოკუმენტურად ან ელექტრონულად). გამონაკლისი: პირველი აუდიტის დროს ფერმერს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 3 თვის ჩანაწერები.	სავალდებულო			
1.8 	ატარებს თუ არა ფერმერი წელიწადში ერთხელ თვითშეფასებას გეოგაპის სტანდარტის წინამდებარე მოთხოვნების სიის შესაბამისად?	დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს თვითშეფასების ჩატარების შესახებ ჩანაწერების არსებობა.	სავალდებულო			
1.9 	ინახება თუ არა გეოგაპ სერტიფიცირებული რძის წარმოება, გადამუშავება, გაყიდვის ჩანაწერები?	დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს გადამუშავებული/გაყიდული რძის შესახებ ჩანაწერების არსებობა, პარტიების მიხედვით.	სავალდებულო			
1.10 	ინახება თუ არა ჩანაწერები ფერმის ვიზიტორთა შესახებ?	დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს ფერმაში ვიზიტორთა ჩანაწერების არსებობა. პერსონალი უნდა გამოიკითხოს არსებული პრაქტიკის შესახებ.	სავალდებულო			




LAND O' LAKES
VENTURE 37

გეოგაპის სტანდარტის მოთხოვნები მერძეული ფერმისთვის



საქონლის იდენტიფიკაცია და მიკვლევა						
N 2	მოთხოვნა	აღწერა	სტატუსი	შესაბამისობა		დასაბუთება
				კი	არა	
2.1  	იდენტიფიცირებულია თუ არა ყველა მსხვილფეხა საქონელი ინდივიდუალური საყურე ნიშნით და არსებობს თუ არა ჩანაწერები შესყიდული და გაყიდული მსხვილფეხა საქონლის შესახებ?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს აქვს თუ არა ფერმაში არსებულ ყველა საქონელს ინდივიდუალური საყურე ნიშანი არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს ფერმაში არსებული, დაბადებული, შესყიდული, გაყიდული და დაცემული მსხვილფეხა საქონლის შესახებ ჩანაწერების არსებობა.	სავალდებულო			

საქონლის კვება, დარწყვლება						
N 3	მოთხოვნა	აღწერა	სტატუსი	შესაბამისობა		დასაბუთება
				კი	არა	
3.1 	არსებობს თუ არა ნუტრიციოლოგიური რეკომენდაციის საფუძველზე შედგენილი წერილობითი კვების რაციონი, რომლის გადახედვაც ხორციელდება წელიწადში ერთხელ?	დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა საქონლის კვების წერილობითი გეგმა, რომელიც შედგენილი უნდა იყოს კვალიფიციური წყაროს მიერ (საკვების მწარმოებელი კომპანია, კვების სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის მრჩეველი და სხვა).	სასურველი			
3.2 	იძლევა თუ არა კვების სისტემა საშუალებას, რომ ყველა ასაკობრივი და წონითი კატეგორიის საქონელს ერთმანეთთან კონფლიქტის გარეშე ჰქონდეთ წვდომა საკვებთან?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს კვების სისტემა და ცხოველთა დაჯგუფება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. გამონაკლისია გამოყოფილ სამოვარზე მოვებისას.	სასურველი			
3.3 	არსებობს თუ არა ჩანაწერები შესყიდული საკვების შესახებ?	დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა ჩანაწერები შესყიდული საკვების სახეობის, რაოდენობის, ფასის, მომწოდებლის და შესყიდვის	სასურველი			



LAND O' LAKES
VENTURE 37

გეოგაპის სტანდარტის მოთხოვნები მერძეული ფერმისთვის



		თარიღის შესახებ.				
3.4 	იკრძალება თუ არა ფერმაში ცხოველური წარმოშობის ცილის შემცველი პროდუქტების საკვებდანამატებად გამოყენება?	დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს საკვების შესყიდვის საბუთები და საკვები რაციონი, შედის თუ არა ცხოველური წარმოშობის ცილა საქონლის საკვებ რაციონში.	სავალდებულო			
3.5 	მიეწოდება თუ არა საქონელს საკმარისი რაოდენობის სასმელი ან სუფთა წყალი, მათ შორის საძოვარზე ყოფნისას?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს რამდენად საკმარისია საქონლისთვის ხელმისაწვდომი სასმელი ან სუფთა წყალი. დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს შეესაბამება თუ არა ლაბორატორიული კვლევის შედეგად საქონლისთვის განკუთვნილი სასმელი ან სუფთა წყალი არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.	სავალდებულო			

საქონლის სადგომი						
N 4	მოთხოვნა	აღწერა	სტატუსი	შესაბამისობა		დასაბუთება
				კი	არა	
4.1 	არის თუ არა საქონელზე გათვლილი საკმარისი მოსასვენებელი სივრცე?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს არის თუ არა საქონლისთვის გამოყოფილი საკმარისი ზომის მოსასვენებელი სივრცე.	სასურველი			
4.2 	არის თუ არა საქონლის ინდივიდუალური სადგომები მოწყობილი იმგვარად, რომ აძლევდეს საქონელს ნორმალური მოქცევის შესაძლებლობას?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს ინდივიდუალური სადგომების (ბოქსები) ზომა და მოწყობის სტილი, თუ რამდენად არის ის საქონლისთვის მარტივად მისადგომი.	სასურველი			
4.3 	ხორციელდება თუ არა რისკის მინიმიზება საქონლის ფიზიკური დაზიანებისგან დასაცავად?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს სადგომის ტერიტორია მოცურებადი იატაკის, ბასრი საგნების და წინაღობების არსებობაზე.	სასურველი			
4.4	ინახება თუ არა განცალკევებით რქიანი და ურქო საქონელი?	რქიანი და ურქო საქონელი განთავსებული უნდა იყოს განცალკევებით.	რეკომენდაცია			
4.5 	არის თუ არა საქონელი დაცული	ვიზუალურად უნდა შეფასდეს დაცულია თუ არა	სასურველი			

გეოგაპის სტანდარტი და შესაბამისი დოკუმენტაცია ეკუთვნის ააიპ "საქართველს ფერმერთა ასოციაციას" და წერილობით თანხმობის გარეშე დაშვებულია თავად დოკუმენტების, ან მისი ნაწილის გამოყენება, გამრავლება, გაყიდვა და ა.შ. და მატებით ინფორმაციისათვის დაუკავშირდეთ ასოციაციას <http://gfa.org.ge/>.



LAND O' LAKES
VENTURE 37

გეოგაპის სტანდარტის მოთხოვნები მერძეული ფერმისთვის



	გარეგანი გამაღიზიანებლებისგან?	საქონელი გარეგანი სტრესისგან (ხმაური, განათება, არასათანადო მოპყრობა).				
4.6 	არსებობს თუ არა ფერმაში გამოყოფილი საიზოლაციო სივრცე ცხოველების განსათავსებლად?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს არსებობს თუ არა ფერმაში მოწყობილი საიზოლაციო სივრცე (ადეკვატური განათებით და ადვილად რეცხვადი ზედაპირით) ფერმაში შემოყვანილი, დაავადებაზე საეჭვო, დაავადებული ან დაშავებული ცხოველების განსათავსებლად.	სასურველი			

საქონლის ჯანმრთელობა						
N 5	მოთხოვნა	აღწერა	სტატუსი	შესაბამისობა		დასაბუთება
				კი	არა	
5.1 	შემუშავებული აქვს თუ არა ფერმას ვეტერინარული ჯანმრთელობის გეგმა?	დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა ნახირის ჯანმრთელობის გეგმა შესაბამისი რუტინული პრევენციული ღონისძიებების ჩანაწერებით (ვაქცინაციები, ჭიაზე დამუშავება, ჩლიქების დამუშავება და სხვა.). პერსონალი უნდა გამოიკითხოს არსებული პრაქტიკის შესახებ.	სავალდებულო			
5.2	ხორციელდება თუ არა ნახირის საერთო ვეტერინარული შემოწმება წელიწადში 2-ჯერ 6 თვიანი ინტერვალით? პრობლემის შემთხვევაში იგეგმება თუ არა მაკორექტირებელი ქმედებები?	სასურველია ფერმაში არსებობდეს ვეტერინარული შემოწმების ჩანაწერები.	რეკომენდაცია			
5.3 	ინახება თუ არა ჩანაწერები ნახირის ჯანმრთელობის შესახებ?	დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა როგორც ნახირის, ისე მსხვილფეხა საქონლის ინდივიდუალური ჯანმრთელობის ჩანაწერები.	სავალდებულო			
5.4	ხორციელდება თუ არა რძის ხარისხობრივი მონაცემების შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში იგეგმება თუ არა	სასურველია ფერმაში ხორციელდებოდეს რძის ხარისხობრივი მონაცემების შესწავლისა და შესაბამისი მაკორექტირებელის ღონისძიებების ჩანაწერები.	სავალდებულო			



LAND O' LAKES
VENTURE 37

გეოგაპის სტანდარტის მოთხოვნები მერძეული ფერმისთვის



	მაკორექტირებელი ღონისძიებები?					
5.5 	არსებობს თუ არა ცხოველის ლეშის განადგურების გეგმა?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს ლეშის განადგურებისთვის გამოყოფილი ადგილები (რომელიც ასახული უნდა იყოს ფერმის რუკაზეც). დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა ლეშის განადგურების გეგმა. პერსონალი უნდა გამოიკითხოს არსებული პრაქტიკის შესახებ.	სასურველი			
5.6 	ინახება თუ არა ფერმაში გამოსაყენებელი ვეტერინარული პრეპარატები მათი შენახვის პირობების დაცვით და ნადგურდება თუ არა გამოყენებული და ვადაგასული ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენები ვეტერინარის მითითებით?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს ფერმაში არსებული ვეტერინარული პრეპარატების შენახვის პირობები, მათ შორის შეფუთვა-მარკირება, ვადები. ასევე უნდა შეფასდეს ვადაგასული ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენების განადგურების პირობები. პერსონალი უნდა გამოიკითხოს არსებული პრაქტიკის შესახებ.	სავალდებულო			

საწველი მოწყობილობა და დანადგარები, წველის პრაქტიკა						
N 6	მოთხოვნა	აღწერა	სტატუსი	შესაბამისობა		დასაბუთება
				კი	არა	
6.1 	არის თუ არა საწველი გარემო მოწყობილი ისე, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი საქონლისთვის არსებული რისკები?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს საწველ დარბაზში საქონლისთვის საფრთხის შემცველი ფაქტორების (პრიალა იატაკი, მეტალის კონსტრუქციების და ინვენტარის კუთხეების სიბასრე და ა.შ.) არსებობა.	სასურველი			
6.2 	არსებობს თუ არა წველის ინსტრუქცია?	დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა წველის ინსტრუქცია (წველის წინა გასუფთავება, წველის თანმიმდევრობა და სხვა). პერსონალი უნდა გამოიკითხოს არსებული პრაქტიკის შესახებ.	სავალდებულო			
6.3 	ხელმისაწვდომია თუ არა სურსათთან შეხებაში მყოფი	ვიზუალურად უნდა შეფასდეს საწველ დარბაზში სასმელი წყლის მიწოდება და გამოყენება.	სავალდებულო			



LAND O' LAKES
VENTURE 37

გეოგაპის სტანდარტის მოთხოვნები მერძეული ფერმისთვის



	ინვენტარის გასარეცხად საჭირო სასმელი წყალი საწველ დარბაზში?	დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს შეესაბამება თუ არა ლაბორატორიული კვლევის შედეგად საწველი დარბაზისათვის განკუთვნილი სასმელი წყალი არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.				
	6.4 დაცულია თუ არა საწველ დარბაზში და რძის შესანახ ოთახში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები და ნედლ რძესთან შეხებაში მყოფი მასალის მოთხოვნები?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს არის თუ არა შესაბამისობაში საწველი დარბაზის და რძის შესანახი ოთახის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები და არის თუ არა ნედლ რძესთან შეხებაში მყოფი ნივთის/ზედაპირის მასალა დამზადებული ისეთი მასალებისგან (უჟანგავი, ადვილად გასაწმენდი), რომლებიც შეამცირობს დაბინძურებას. პერსონალი უნდა გამოიკითხოს არსებული პრაქტიკის შესახებ.	სავალდებულო			
	6.5 ფუნქციონირებს თუ არა რძის გამაცივებელი მოთხოვნების შესაბამისად?	დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს არის თუ არა რძის გამაცივებელი აგრეგატის ტექნიკური სპეციფიკაცია შესაბამისი რძის პირველადი დამუშავებისთვის საჭირო ტემპერატურულ მოთხოვნებთან. პერსონალი უნდა გამოიკითხოს არსებული პრაქტიკის შესახებ. გამონაკლისია იმ შემთხვევაში, თუ ფერმერის მხრიდან წარმოდგენილი იქნება მტკიცებულება მოწველილი რძის დაუყოვნებლივ (2 საათის განმავლობაში) გადამამუშავებელ საწარმოში ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით.	სავალდებულო			
	6.6 არსებობს თუ არა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ვეტერინარული პრეპარატების და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენის შემცველი რძის სასურსათო ჯაჭვიდან ლიკვიდირებას?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს არის თუ არა დაბინძურებული (მაგ. ანტიბიოტიკების ნარჩენი) რძისთვის ცალკე რეზერვუარი. დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა ნამკურნალები ცხოველის იზოლაციისა და მისგან მიღებული რძის განკარგვის გეგმა (ინსტრუქცია და ჩანაწერები). პერსონალი უნდა გამოიკითხოს არსებული პრაქტიკის შესახებ.	სავალდებულო			






LAND O' LAKES
VENTURE 37

გეოგაპის სტანდარტის მოთხოვნები მერძეული ფერმისთვის



ჰიგიენა						
N 7	მოთხოვნა	აღწერა	სტატუსი	შესაბამისობა		დასაბუთება
				კი	არა	
7.1  	აღჭურვილნი არიან თუ არა წველის პროცესში ჩართული ადამიანები სპეციალური ტანსაცმლით?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს გამოყოფილია თუ არა წველის პროცესში ჩართული ადამიანებისთვის სპეც. ტანსაცმელი. პერსონალი უნდა გამოიკითხოს არსებული პრაქტიკის შესახებ.	სავალდებულო			
7.2 	იფარავს თუ არა პერსონალი ჭრილობებს მუშაობის პროცესში?	პერსონალი უნდა გამოიკითხოს არსებული პრაქტიკის შესახებ.	სავალდებულო			
7.3  	ხორციელდება თუ არა სურსათით გადამდები დაავადებით დაავადებული თანამშრომლის სამუშაო პროცესიდან ჩამოშორება?	დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა პერსონალის ჯანმრთელობის კონტროლის ჩანაწერები. პერსონალი უნდა გამოიკითხოს არსებული პრაქტიკის შესახებ.	სავალდებულო			
7.4  	იცავს თუ არა პერსონალი ქცევისა და ჰიგიენის ნორმებს?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს არის თუ არა ხელმისაწვდომი ხელების სისუფთავისთვის საჭირო საშუალებები. პერსონალი უნდა გამოიკითხოს არსებული პრაქტიკის შესახებ.	სავალდებულო			


რეცხვა/დეზინფექცია და ქიმიური საშუალებები						
N 8	მოთხოვნა	აღწერა	სტატუსი	შესაბამისობა		დასაბუთება
				კი	არა	
8.1	ხორციელდება თუ არა სადგომის სრული რეცხვა/დეზინფექცია მინიმუმ წელიწადში ერთხელ?	სასურველია ფერმის გენერალური რეცხვა და დეზინფექცია ხორციელდებოდეს წელიწადში ერთხელ და არსებობდეს შესაბამისი ჩანაწერები.	რეკომენდაცია			
8.2   	გამოიყენება თუ არა სადგომში და საწველ დარბაზში შესაბამისი დანიშნულების ქიმიური საშუალებები?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს წარმოდგენილია თუ არა ადგილზე ქიმიური საშუალებების ეტიკეტები. დოკუმენტურად უნდა შემოწმდეს რეცხვა-დეზინფექციის გეგმა, გამოიყენება თუ არა სადგომსა და საწველ დარბაზში შესაბამისი	სავალდებულო			

გეოგაპის სტანდარტი და შესაბამისი დოკუმენტაცია ეკუთვნის ააიპ "საქარჯელს ფერმერთა ასოციაციას" და წერილობით თანხმობის გარეშე დაშვებულია თავად დოკუმენტების, ან მისი ნაწილის გამოყენება, გამრავლება, გაყიდვა და ა.შ. დამატებით ინფორმაციისათვის დაუკავშირდეთ ასოციაციას <http://gfa.org.ge/>.



გეოგაპის სტანდარტის მოთხოვნები მერძეული ფერმისთვის



		დანიშნულების ქიმიური საშუალებები თანდართული ეტიკეტის/ინსტრუქციის შესაბამისად. პერსონალი უნდა გამოიკითხოს არსებული პრაქტიკის შესახებ.				
8.3 	ინახება თუ არა ქიმიკატები საწველი მოწყობილობებიდან შორს, მშრალ, სუფთა და დაცულ ადგილას?	ვიზუალურად უნდა შეფასდეს არის თუ არა შესაბამისობაში ქიმიური ნივთიერებების შენახვის ადგილი.	სავალდებულო			